



განხილულია

თქუ სამართლის ფაკულტეტის 2013 წლის 19 ოქტომბრის N14 სხდომაზე

მოდითფიცირებულიადადამტკიცებულია:

თქუაკადემიურისაბჭოს2013 წლის26 ოქტომბრის N5/2013გადაწყვეტილებით,

თქურექტორის2013 წლის 26 ოქტომბრის N97/07 ბრძანებით;

თქუაკადემიურისაბჭოს2014 წლის3 მაისის N3/2014 გადაწყვეტილებით,

თქურექტორის 2014 წლის 6 მაისის N38/07 ბრძანებით;

თქუაკადემიური საბჭოს 2014 წლის26 დეკემბრის N4/2014 გადაწყვეტილებით,

თქურექტორის 2014 წლის 27 დეკემბრის N111/07 ბრძანებით.

თქუაკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 აგვისტოს N4/2016 გადაწყვეტილებით,

თქურექტორის 2016 წლის 05 სექტემბრის N88/07 ბრძანებით.

თქუაკადემიური საბჭოს 2017 წლის07 თებერვლის N2/2017 გადაწყვეტილებით,

თქურექტორის 2017 წლის 10 თებერვლის N17/07 ბრძანებით.

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამართალი / LAW
2. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი - აკადემიური, რეგულირებადი
3. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური - ბაკალავრიატი
4. სწავლების ენა - ქართული
5. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (Bachelor of Law)
6. პროგრამის მოცულობა კრედიტებით - სამიეხელი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სავალდებულოა 240 კრედიტის მოპოვება; ერთი კრედიტი - 25 საათია, ერთი სემესტრის ხანგრძლივობა - 20 კვირა, 1 სემესტრის მანძილზე სტუდენტმა უნდა მოიპოვოს საშუალოდ 30 კრედიტი; პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობაა - 4 წელი, 8 სემესტრი

7. პროგრამის ხელმძღვანელი: თჰუ პროფესორი კახი ყურაშვილი

8. სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ა) თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე;
- ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებისა და 2012 წლის 24 იანვრის N12/ნ ბრძანების საფუძველზე, ასევე შიდა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად, თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით გადმოსულ შესაბამის სტუდენტებს.

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ ამ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

9. სფეროს აღწერა:

სამართალი სოციალური მეცნიერებაა და აწესრიგებს სახელმწიფოდ ორგანიზებულ საზოგადოებაში ინდივიდთა თანაცხოვრებას, განსაზღვრავს საზოგადოების სახელმწიფოდ ორგანიზების ფორმასა და სტრუქტურას. მისი დანიშნულებაა, გადაჭრას ინდივიდთა შორის, ასევე ინდივიდთა და სახელმწიფოდ ორგანიზებულ საზოგადოებას შორის წარმოშობილი ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტი. სამართლებრივ სახელმწიფოში სამართალი სახელმწიფოს კანონიერ ჩარჩოში მოქცევის საშუალებაა და სახელმწიფოს სამართლით შეზღუდვას უზრუნველყოფს, რის შემდეგაც როგორც ინდივიდი, ისე სახელმწიფო სამართლით შემოფარგლურ გარემოში ვითარდებიან. ამასთან, მოქმედებს პრინციპი, რომლის შესაბამისადაც, სახელმწიფოსათვის ყველაფერი აკრძალულია, რაც არაა სამართლით ნებადართული, მაშინ, როცა ინდივიდისათვის, ყველაფერი ნებადართულია, რაც არაა პირდაპირ აკრძალული სამართლით. სამართლებრივ სახელმწიფოში, სამართალი „შეუმჩნევლად მოქმედებს“, სანამ ინდივიდი არ სცდება დასაშვებად მიჩნეულ ფარგლებს. ხშირად ადამიანს ვერ წარმოუდგენია, რომ ნებისმიერი მისი მოქმედება სამართლის მიერ არის გათვალისწინებული და დასაშვებად მიჩნეული. მოქმედების თავისუფლებაც სამართლებრივად აღიარებული სიკეთეა, რომლის ფარგლებიც საზოგადოების თავისუფლებისა და ღირსეულობის პროპორციულია. მოქმედებას, არსებულ გარემოებებსა და გამომდინარე შედეგს შორის სამართლიანი თანაფარდობა დგინდება კანონით, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში მისი (სამართლიანი თანაფარდობის) უზრუნველყოფა მხოლოდ კანონის სათანადოდ განმარტებით არის შესაძლებელი. თითოეული დებულება არ განიხილება არც შესაბამისი სამართლის სისტემის ინსტიტუტებისა თუ ცნებათა სისტემისგან იზოლირებულად, არც სამართლებრივი წესრიგისათვის დამახასიათებელი ფასეულობებისაგან დამოუკიდებლად. ის სამართლიანი და მიზანშეწონილობაზე დამყარებული სამართლებრივი წესრიგის ნაწილია. მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების კრიტერიუმთან ერთად, გამოიყენება, მაგალითად, მინიმალური ჩარევის, თანაზომიერების,

ეფექტიანობის, ეკონომიურობის, თანმიმდევრულობისა თუ აღსრულებადობის პრინციპები. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ინდივიდთა სამართლით მოწესრიგებულ ურთიერთობებში თანასწორობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპები ამოსავალია: ინდივიდის უფლებები სრულდება იქ, სადაც იწყება სხვა ინდივიდის უფლებები. იურისტის პროფესია ემსახურება სამართლის დანიშნულების რეალიზებას, სამართლიანი სასამართლო სისტემის ფუნქციონირებას. სამართლის პროფესიის წარმომადგენლები – განსაკუთრებით, მოსამართლე, ადვოკატი და პროკურორი – აღჭურვილნი არიან სახელმწიფოში სამართლიანობის უზრუნველყოფის ფუნქციით. სამართლის საგანმანათლებლო პროგრამა არის პროფესიის დაუფლების საშუალება, როგორც საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილი, ისე კერძო თუ საჯარო სექტორში დასაქმებული იურისტისათვის.

10. პროგრამის მიზანი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზანი გამომდინარეობს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან და გულისხმობს სტუდენტის ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას, მასში ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების ფორმირებას და საქართველოს შიდაეროვნულ შრომის ბაზარზე, დამსაქმებელთა მოთხოვნების ადეკვატური ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი საფეხურის დონის კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას, რომელიც უნარიანია განახორციელოს პრაქტიკული იურიდიული საქმიანობა, მომზადებულია სათანადო და თანამედროვე თეორიული, ნორმატიული და პრაქტიკული სამართლებრივი ცოდნით, გამომუშავებული აქვს პრაქტიკული საქმიანობისას პროფესიული ეთიკისა და ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული სამართლებრივი ღირებულებების, სამართლიანობის, ადამიანის უფლებების დაცვის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელების მიზანია უზრუნველყოს სტუდენტის/კურსდამთავრებულის მიერ საქართველოს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობების და ღირებულებების, ასევე სპეციალიზაციის სფეროს სიღრმისეული ცოდნა; სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაბამისი ცოდნა სამართალმცოდნეობაში (სამართლის თეორიასა და მეთოდებში, ფილოსოფიასა და ისტორიაში), საჯარო სამართალში, კერძო სამართალში, სისხლის სამართალსა და საერთაშორისო სამართალში. სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში განახორციელოს ინდივიდუალური პროფილის ფორმირება სპეციალიზაციის მოდულების ან/და სასწავლო დისციპლინების კონცენტრაციით; მაგალითად, კერძო სამართალში, ადმინისტრაციული სამართლის ელემენტებით და სხვ. სამართლის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს გარკვევს მოქმედი კანონმდებლობის რეალიზაციის სპეციფიკასა და პრობლემატიკაში, გამოუმუშავებს მას შეფასების, ანალიზისა და დასაბუთების უნარ-ჩვევებს, გააცნოს მას უცხოური პრაქტიკას, უბიძგებს გადაწყვეტილებათა მომზადებისას საკითხის პრობლემურ ჭრილში გაანალიზებისაკენ და გადაწყვეტილებათა ეფექტური რეალიზაციისაკენ. სამართლის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისათვის სამართლებრივი საკითხების ცოდნა-გაცნობიერებისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების სწავლებას; სტუდენტი დაეუფლება იურისტის საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ მეთოდებს, გამოიმუშავებს სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარ-ჩვევებს, ასევე კომუნიკაციისა და სწავლების უნარს, შეეძლება საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეების მიდევნება და ცოდნის მუდმივად განახლება.

ამ მიზნების მისაღწევად, სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულნი არიან დაინტერესებული მხარეები - აკადემიური პერსონალი, რომელთა ნაწილი ასევე პრაქტიკულ პროფესიულ საქმიანობასაც ეწევა და დამსაქმებელიცაა (ადვოკატები, მოსამართლეები), სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები.

11. დასაქმების სფერო და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის ფლობა. ამასთან, ცალკეული თანამდებობის დასაკავებლად შეიძლება გათვალისწინებულ იქნას დამატებითი წინაპირობები (სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება). კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს:

- საჯარო დაწესებულებებში,
- საერთაშორისო ორგანიზაციებში,
- არასამთავრობო დაწესებულებებში,
- კერძო სექტორში.

ამავე დროს, სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს სამართლის მიმართულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის გაღრმავებაზე სამართლის ქვედარგის/სპეციალიზაციის კუთხით ან სპეციალობის შეცვლის მიზნით – სხვა მიმართულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით.

12. სწავლის შედეგები: დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები

სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების წარმატებით ათვისებისა და შესაბამისი ოდენობის კრედიტის მოპოვების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რაც ადასტურებს რომ კურსდამთავრებულს გააჩნია სათანადო დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები სამართლის მიმართულებით:

- ცოდნა და გაცნობიერება

ა) გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის; გააჩნია ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ფართო და სისტემური ცოდნა, რომელიც მოიცავს სამართლის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, სამართლის სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას; კურსდამთავრებული იცნობს სამართლის განვითარების ტენდენციებსა და მისი სრულყოფის პერსპექტივებს, კანონმდებლობის განვითარების მიმართულებებს; საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სპეციალიზაციის არჩევითი მოდულების ფარგლებში ინდივიდუალური პროფილის ფორმირებითა და დაძლევიტ, შემენილი აქვს საჯარო, კერძო, სისხლის ან/და საერთაშორისო სამართლის სიღრმისეული ცოდნა.

კურსდამთავრებულმა იცის: სამართლის ცნება და ფუნქციები, სამართლის თეორიები, ძირითადი პრინციპები, სამართლის ნორმის სტრუქტურა, სახეები, განმარტების მეთოდები, სამართლის შეფარდება, სამართლის ენა, სამართლის სისტემები; სახელმწიფოს ცნება და ფუნქციები, სახელმწიფოს მმართველობის და ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმები; წარმომადგენლობითი და უშუალო დემოკრატიის ფორმები, სახელმწიფო მოწყობის სხვა საკითხები, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები, ძველი ქართული სამართლის დარგები/ინსტიტუტები, ქართული სახელმწიფოს მოწყობის ისტორიული ასპექტები; ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მათი დაცვის გარანტიები; ზოგადი ადმინისტრაციული

სამართლის არსი, პრინციპები, წყაროები, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების თავისებურებები, ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმები, ადმინისტრაციული წარმოების სახეები და თავისებურებები; კერძო სამართლის სისტემა, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, მათ შორის სახელმწიფო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, საკორპორაციო სამართალი; სისხლის სამართლისძირითადი ცნებები, პრინციპები და ინსტიტუტები; დანაშაულის არსი, სახეები, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის (სასჯელის) არსი, სახეები, თავისებურებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის წყაროები, ძირითადი პრინციპები, საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობები; კონსტიტუციური, ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოების არსი, პრინციპები, თავისებურებები (პროცესუალური სამართალი).

ბ) **საჯარო სამართლის სპეციალიზაციით**, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გაიღრმავოს ცოდნა ისეთი არჩევითი სასწავლო დისციპლინების შესწავლით, როგორცაა: საარჩევნო სამართალი, კონსტიტუციური კონტროლი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, შედარებითი ადმინისტრაციული სამართალი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, მუნიციპალური სამართალი, საგადასახადო სამართალი, მედია სამართალი, აგრეთვე რეპეტიტორიუმის (გამეორება, საკანონმდებლო ნოვაციათა შესწავლა, გაღრმავება სპეციალობაში) გავლითა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით; სტუდენტები გაიღრმავებენ ცოდნასა და შეისწავლიან საქართველოს საარჩევნო სისტემების თავისებურებებს, საარჩევნო პროცესის დეტალებსა და სპეციფიკურ ასპექტებს, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობას და მისი განვითარების ტენდენციებს; საზღვარგარეთის ქვეყნებში კონსტიტუციური სამართლის წყაროებისა, საზღვარგარეთის ქვეყნებში დამკვიდრებული კონსტიტუციური წესრიგის, ერთი მხრივ ადამიანის (მოქალაქის) და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგლამენტაციის, უშუალო და წარმომადგენლობითი დემოკრატიის რეალიზაციის ფორმების, სახელმწიფო ხელისუფლების ჰორიზონტალური და ვერტიკალური კონსტრუქციების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების მექანიზმების თაობაზე; საზღვარგარეთის და განსაკუთრებით, ევროკავშირის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტების შესახებ; ადმინისტრაციული სამართლის პრინციპების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ადმინისტრაციული წარმოებების, ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილებების გასაჩივრების თავისებურებების, მმართველობის სიტემისა და ადმინისტრაციული სასამართლო მართლმსაჯულების შესახებ; ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის სპეციფიკის და პრობლემების თაობაზე; საქართველოს კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის მექანიზმის ფუნქციონირების, კონსტიტუციური კონტროლის ნორმატიული ფარგლებისა და კონსტიტუციური სამართალწარმოების თავისებურებებზე და სხვ.; ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების პრინციპების, ადმინისტრაციულ სახდელთა სახეების, სახდელთა გამოყენებისა და აღსრულების წესის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში განხილვის თავისებურებების თაობაზე; საგადასახადო სამართლის კუთხით, სტუდენტები შეისწავლიან საგადასახადო სამართლის ძირითადი ინსტიტუტების, საგადასახადო სამართლის მარეგულირებელი ნორმების თავისებურებებს, ხოლო მედია სამართალში, მაუწყებლობის ლიცენზირების/ავტორიზების სამართლებრივ პროცედურებს, მედიის თავისუფლებისა და სარედაქციო დამოუკიდებლობის, სამაუწყებლო რეკლამის, მარეგულირებელი ორგანოს სტატუსის და სხვა აქტუალურ საკითხებს.

გ) **კერძო სამართლის სპეციალიზაციით**, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გაიღრმავოს ცოდნა ისეთი არჩევითი სასწავლო დისციპლინების შესწავლით, როგორცაა: სანოტარო სამართალი, ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი, გადახდისუუნარობის სამართალი, მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი, შედარებითი კერძო სამართალი, დაზღვევის სამართალი, საბანკო სამართალი, აგრეთვე რეპეტიტორიუმის (გამეორება, საკანონმდებლო ნოვაციათა შესწავლა, გაღრმავება სპეციალობაში)

გავლითა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით; სტუდენტები ამ მოდულის ფარგლებში გაირღმავებენ ცოდნას და შეისწავლიან ნოტარიატის სფეროში მოქმედ კანონმდებლობას, სანოტარო სამართლის განვითარების ძირითად მიმართულებებს; ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო სამართლის ძირითადი ინსტიტუტებსა და პრინციპებს, საავტორო უფლების წარმოშობასა და დაცვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს; საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროებს, საკოლიზიო ნორმათა ფუნქციას, დელიქტების საკოლიზიო საკითხებს, პირებს საერთაშორისო კერძო სამართალში, ნივთისა და გარიგების, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებს საერთაშორისო კერძო სამართალში, იურისდიქციის კონფლიქტის საკითხებსა და სხვ.; გადახდისუუნარობისას მარეგულირებელ ნორმებსა და საკანონმდებლო ინსტრუმენტებს, გადახდისუუნარობის არსს, წინაპირობებს, ორგანოებსა და მონაწილეებს, მათი უფლებებსა და მოვალეობებს, სტადიებს; მოთხოვნის უზრუნველყოფის ისეთ ინსტიტუტებს, როგორცაა გირავნობა და იპოთეკა, საბანკო გარანტია, თავდებობა; შედარებითი კერძო სამართლის ფარგლებში სტუდენტი მოახდენს სახვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობის შესწავლასა და განზოგადებას; შეისწავლის უცხოეთის კერძო სამართლის კანონმდებლობის თავისებურებებს; საბანკო სამართლის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ბანკების საქმიანობის მომწესრიგებელი საქართველოს კანონმდებლობას, საბანკო ურთიერთობების მომწესრიგებელი კონტინენტური სამართლის და ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნების სამართლებრივი რეგულირების თავისებურებებს; შეისწავლიან საბანკო ძირითადი ინსტიტუტებსა და სფეროს ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების არსებით და ჩვეულებრივ პირობებს; დაზღვევის სამართლის სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან სადაზღვევო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ საქართველოს კანონმდებლობას, დაზღვევის ძირითად ინსტიტუტებსა და დაზღვევის ხელშეკრულების არსებით და ჩვეულებრივ პირობებს.

დ) სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გაიღრმავოს ცოდნა ისეთი არჩევითი სასწავლო დისციპლინების შესწავლით, როგორცაა: მტკიცებითი სამართალი, საერთაშორისო სისხლის სამართალი, კრიმინოლოგია, კრიმინალისტიკა, აგრეთვე რეპეტიტორიუმის (გამეორება, საკანონმდებლო ნოვაციათა შესწავლა, გაღრმავება სპეციალობაში) გავლითა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით; ამ მოდულის ფარგლებში სტუდენტი გაიღრმავებს სპეციალურ ცოდნასა და შეისწავლის დანაშაულის კრიმინოლოგიურ ასპექტებს, დანაშაულს როგორც სოციალურ მოვლენას, მის გამომწვევ მიზეზებსა და პირობებს, დამნაშავეობასთან ბრძოლის გზებსა და საშუალებებს, დანაშაულის თავიდან აცილების (პრევენცია) საკითხებს; სტუდენტებს მიეწოდებათ ასევე სპეციფიკური ინფორმაცია მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნის, მტკიცებულებათა ფიქსაციისთვის საჭირო სპეციალური სამეცნიერო-ტექნიკური ხერხებისა და საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის მეთოდის თაობაზე; დანაშაულის ჩადენის მექანიზმის, ხერხისა და ვითარების, კანონზომიერებისა და დამნაშავეთა პირადი ტიპილოგიური თავისებურებების შესახებ; ამ მოდულის ფარგლებში მიღებული ცოდნა სტუდენტებს შეუქმნის სწორ წარმოდგენას მტკიცების მიზნის, ჭეშმარიტების არსსა და მტკიცების საშუალებებით მისი დადგენის პრობლემების, მტკიცების ტვირთის და მტკიცების ამოსავალი დებულებების შესახებ; მტკიცებულებათა საპროცესო მნიშვნელობის, მტკიცებულებათა დასაშვებობისა და რელევანტურობის (შესახებითობის) თაობაზე; მტკიცებულებათა შეკრებისა და წარდგენის, შემოწმებისა და შეფასების თეორიული და საკანონმდებლო დებულებების შესახებ; სტუდენტს მიეცემა შესაძლებლობა, საფუძვლიანად შეისწავლოს სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების არსი და შეიქმნას მყარი თეორიული საფუძველი საერთაშორისო სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე.

ე) საერთაშორისო სამართლის სპეციალიზაციით, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გაიღრმავოს ცოდნა ისეთი არჩევითი სასწავლო დისციპლინების შესწავლით, როგორცაა: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, ევროპის სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი; აგრეთვე, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით; სტუდენტები გაიღრმავებენ ცოდნას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წყაროებისა და

მიზნების შესახებ; შეისწავლიან კონვენციებს, რომლებმაც სამართლებრივი საფუძველი ჩაუყარეს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, ასევე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებსა და მათ რეალურად ომის ვითარებაში დაცვასთან დაკავშირებულ სირთულეებს; სტუდენტებს მიეწოდებათ სრულყოფილი ინფორმაცია უნივერსალური და რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკაციის, საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნისა და მათი არსებობის შეწყვეტის ძირითადი წესების, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლებრივი ბუნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების კომპეტენციების, უფლებამოსილებების, საერთაშორისო ორგანიზაციებში გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურის თაობაზე; ევროპის სამართლის წყაროებისა და მისი სისტემის, სახელმწიფოებისა და ევროპის საერთაშორისო ორგანიზაციების უფლებამოსილებათა გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების მექანიზმების თაობაზე; ევროპის შესაბამისი სამართლებრივი ინსტიტუტების საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებში რეგლამენტაციის შესაბამისი პრაქტიკისა და ფორმების თაობაზე.

ვ) სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ცოდნა გაიღრმავოს **სამართალმცოდნეობაში** (სამართლის თეორია და მეთოდები, ფილოსოფია, ისტორია), ისეთი არჩევითი სასწავლო დისციპლინების შესწავლით, როგორცაა: სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია, მსოფლიოს სამართლებრივი სისტემები, რომის სამართალი, სამართლის ფილოსოფია. ამ მოდულის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაიღრმავონ ცოდნა სამართლის თეორიისა და მეთოდების, ისტორიისა და ფილოსოფიის საკითხებში; კერძოდ, სტუდენტს საშუალება აქვს შეისწავლოს საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ისტორიის საკითხები, სამართლის განვითარების პროცესში მომხდარი ისტორიული ფაქტები, ხელისუფლების სტრუქტურა და საზოგადოებრივი წყობა უძველესი ეპოქიდან დღემდე; რომანულ-გერმანული, საერთო / ანგლო-საქსური, ამერიკული, ასევე ისლამური სამართლებრივი სისტემები, ნიშნები და თავისებურებები; მოდულის ფარგლებში შეთავაზებული რომის სამართლის სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები გაითავისებენ, რომ რომის სამართალს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში, რომ მან სამირკველი ჩაუყარა თანამედროვე სამოქალაქო სამართლის ძირითად ინსტიტუტებს. სტუდენტები ასევე გაეცნობიან სამართლის ფილოსოფიის ისტორიულ და თანამედროვე თეორიებს რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს სამართლის ფილოსოფიის მეცნიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, მათ შორის – გერმანელი ფილოსოფოსის ჰეგელის სამართლის ფილოსოფიას, აგრეთვე ცნობილი ფილოსოფოსებისა და იურისტების შეხედულებებს სამართლის არსის, წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებაზე.

- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია სამართლის დარგისათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენების უნარი სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელების უნარი, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; აგრეთვე, ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და გამოუმუშავებული უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენების უნარი - სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი; დამოუკიდებლად შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენა.

- დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს გააჩნია სამართლებრივი შინაარსის მონაცემების შეგროვების, ამ მონაცემებისა და სიტუაციების (ფაქტობრივი გარემოებების) გაანალიზების, სამართლებრივი შეფასების, განმარტების, არგუმენტირებული მსჯელობისა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; სამართლებრივი

პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი.

- კომუნიკაციის უნარი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს თანამედროვე საინფორმაციო-საძიებო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს მომხმარებლის დონეზე და შეუძლია შემოქმედებითად გამოიყენოს ისინი; კურსდამთავრებულს სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, რუსული ან გერმანული) ზოგადევეროპული ჩარჩოს შესაბამის B 2.2 (დარგობრივ) დონეზე შესწავლის შედეგად, მშობლიურთან ერთად, ერთ-ერთ უცხო ენაზე შეეძლება იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით სათანადო კომუნიკაცია, ექნება ოთხივე სამეტყველო კომპეტენცია, კერძოდ სტუდენტს:

ა) ექნება დიდი მოცულობის გამონათქვამების გაგების/აღქმის უნარი იურიდიულ თემატიკაზე, საუბრის ზოგადი მიმართულების, ცალკეული რეკვიზიტების, არსის გაგების უნარი (აუდირება);

ბ) ექნება ევროპის წამყვანი იურისტ-ლინგვისტთა ფირმის მიერ შერჩეული ავთენტური ტექსტებისა და კაზუსების ძირითადი შინაარსის გაგების უნარი; იურიდიული სტატიის ზოგადი შინაარსის გაგების უნარი; შეეძლება გაიგოს სხვადასხვა იურიდიული ფირმების რეკლამა; მოახერხებს იურიდიულ ტექსტში საჭირო ინფორმაციის გამოყოფას; კურსდამთავრებული უნარიანი იქნება უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული, რუსული) მოიძიოს ინფორმაცია, გაიგოს აბსტრაქტულ და კონკრეტულ სამართლებრივ თემებზე შედგენილი ტექსტების შინაარსი(კითხვა);

გ) ექნება შემდეგი უნარები: რეალურ მოვლენებზე ფაქტების მოკლედ გადმოცემა, კაზუსების შინაარსის მოკლედ გადმოცემა, მოვლენების თანმიდევრული გადმოცემა, საკუთარი აზრის გამოხატვა და სიტუაციის დახასიათება იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით (საუბარი);

დ) ეცოდინება იურიდიული შინაარსის ტექსტების შედგენისა და წერის წესები, სამართლებრივი კონტრაქტების შედგენის წესები და პრინციპები, ექნება იურიდიული სიტუაციების წერილობითი გადმოცემის უნარი და შეეძლება მათი წერილობით აღწერა უცხო ენაზე (წერა); კურსდამთავრებული შეძლებს იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას.

- სწავლის უნარი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნების უნარი, შესწევს უნარი, დაადგინოს ქართულ და უცხოურ ენებზე არსებული ინფორმაციის წყაროები (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებგვერდები და ა.შ.), მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, გააჩნია ცოდნის დამოუკიდებლად და მუდმივად განახლებისა და გაღრმავების უნარი.

- ღირებულებები

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს და მოწოდებულია დაიცვას ზემოაღნიშნული ეთიკური ნორმები; გაცნობიერებულად ისწრაფვის თავისი პროფესიული საქმიანობით მონაწილეობა მიიღოს ადამიანური ან/და სამართლებრივი ღირებულებების (ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა უზენაეს ადამიანურ ღირებულებად აღქმა, კანონიერება, სამართლიანობა, თანასწორუფლებიანობა და თანასწორობა,

თავისუფლება, კანონიერება, დემოკრატიულობა, საჯაროობა, სასჯელის გარდაუვალობა, სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთობისას პიროვნების უპირატესობა და სახელმწიფოს სამართლით შებოჭვა და სხვ.) ფორმირების პროცესში და ხელი შეუწყოს მათ დამკვიდრებას. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ადამიანის და მოქალაქის უფლებების და თავისუფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

13. სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები

სამართლის საბაკალავრო პროგრამით სწავლების პროცესში, სწავლების შედეგების მისაღწევად, სხვადასხვა სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულია სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდები ან ხდება მათი კომბინირებული გამოყენება.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის რეალიზაციისას სწავლების შედეგების მისაღწევად ადეკვატური მეთოდების შერჩევა ხორცილდება, დინამიურად - სწავლის შედეგების, სასწავლო დისციპლინის სპეციფიკისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით. ზოგადად, რეკომენდირებულია კლასიკური ლექციის ფორმატში მაღალი ინტერაქტიულობის მქონე მეთოდების ინტეგრაცია. ცალკეული კომპეტენციის გამომუშავებისას უნდა გამოიყენებოდეს სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პროექტის შემუშავება, პრეზენტაცია, საშინაო დავალება და დამოუკიდებელი მუშაობის სხვა ანალოგიური ფორმები; ასევე, შესაძლებელია და განხორციელებულიცაა პრაქტიკული კომპონენტისა და კლინიკური სწავლების ინტეგრირება სამართლის საბაკალავრო პროგრამაში. სამართლის საბაკალავრო პროგრამის რეალიზაციისას გამოყენებული სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები სტუდენტში უნდა ახდენდნენ შემეცნებითი საქმიანობის განვითარებასა და სტიმულირებას. სწავლების მეთოდები ისე უნდა შეირჩეს, რომ გამოიწვიოს სტუდენტის დაინტერესება შესასწავლი თემით, შემოქმედებითად აქტიური და დამოუკიდებელი გახადოს იგი ცოდნის მარაგის დაგროვების პროცესში.

ლექცია, რომელიც შემოქმედებითი პროცესია და რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი თემის არსის გაგება, რაც გულისხმობს მიწოდებული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე.

სამუშაო ჯგუფში მუშაობა, რომლის დანიშნულებაცაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი ლექტორის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ლექტორი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

პრაქტიკული მეცადინეობა, რომლის დანიშნულებაცაა კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის პროცესში თეორიული მასალის გამოყენების უნარის ფორმირება, რაც თავის მხრივ თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევის გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა და სავარჯიშოთა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, მათ შესრულებაზე და სხვ.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა - არის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობა ძირითადი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის.

- **ვერბალური და წერიტი მუშაობის მეთოდები;**
- **წიგნის დამუშავების მეთოდი;**
- **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც მკვეთრად ამძღვრებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს მეთოდი უწვდის სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;
- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და მათ ეძლევათ სასწავლო დავალებები. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – აღნიშნული სასწავლო მეთოდი ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად პრობლემის დასმას იყენებს;
- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში; თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
- **ვერსტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება;
- **შემთხვევის ანალიზი (Case study)** – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს (მაგალითად, კაზუსს), რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს;
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
 - ა) პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
 - ბ) დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
 - გ) გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
 - დ) კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
 - ე) შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
 - ვ) უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა;
- **როლური და სიტუაციური თამაშები** – სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს ამ თუ იმ საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში; ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს;

- **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდება სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პროფესორის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი თვალსაჩინოს ხდის სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხურს, აკონკრეტებს იმ სამუშაოს, რომლის შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს;
- **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი:**
 - ა) სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტული საკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ;
 - ბ) სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტული საკენ;
 - გ) სასწავლო პროცესში **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, რითაც მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;
 - დ) **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;
- **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში;
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია;
- **და სხვ.**

14. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამართლის საბაკალავრო პროგრამა იყენებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით განსაზღვრულ და მის საფუძველზე დამტკიცებულ თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ შეფასების სისტემას, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია და ამ პროგრამის განუყოფელი ნაწილია.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემით სტუდენტის ცოდნა ფასდება მაქსიმუმ 100 ქულის ფარგლებში (საბოლოო შეფასება - მაქსიმუმ 100 ქულა); სასწავლო კრედიტის მოსაპოვებლად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს - 51 ქულა. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

- ა) შუალედურ შეფასებებს;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

საბოლოო შეფასების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50% მიღების შემთხვევაში; დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი 5 კალენდარული დღეა.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი კომპონენტებით:

1. **აქტიურობა - მაქსიმუმ 30 ქულა** (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, საკონტროლო სამუშაო, გუნდური ან პერსონალური პრეზენტაცია, წერითი და ზეპირი საშინაო დავალებები, ესეს შესრულება, რეფერატის ან სხვა სახის სამუშაოს შესრულება პედაგოგის შერჩევით);
2. **შუალედური გამოცდა - მაქსიმუმ 30 ქულა** (ტარდება წერითი ფორმით, სემესტრის დაწყებიდან VIII კვირას; შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ასახულია სილაბუსში და ადეკვატურია ამავე სილაბუსში განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისათვის);
3. **დასკვნითი გამოცდა - მაქსიმუმ 40 ქულა:** კომბინირებულია (წერითი/ზეპირი) ან წერითი; შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ასახულია სილაბუსში და ადეკვატურია ამავე სილაბუსში განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისათვის);

კომბინირებული დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში:

- ა) **ზეპირი კომპონენტი** (მაქსიმუმ 20 ქულა);
- ბ) **წერითი კომპონენტი** (მინიმუმ 20 ქულა).

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- ა.ა) (A) **ფრიადი** - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) (B) **ძალიან კარგი** - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- ა.გ) (C) **კარგი** - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- ა.დ) (D) **დამაკმაყოფილებელი** - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) (E) **საკმარისი** - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) **ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

- ბ.ა) (FX) **ვერ ჩააბარა** - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მქესიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა:

ა) შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები დეტალურად ჩაშლილია სილაბუსებში და გათვალისწინებულია საგნის სპეციფიკა;

ბ) საბაკალავრო ნაშრომისა და პროფესიული პრაქტიკის შესრულებისა და შეფასების კომპონენტები ასახულია „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შეფასების სისტემის მოდიფიცირების თაობაზე“ თჰუ რექტორის 2012 წლის 16 ივნისის N69/07 ბრძანებაში.

15. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

სამართლის საბაკალავრო პროგრამა (320 ECTS კრედიტი) აგებულია თეორიული და პრაქტიკული პროფილით. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამით სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- **30 ECTS კრედიტი** ეთმობა საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო დისციპლინებს, მათ შორის 20 კრედიტი ეთმობა ერთ-ერთ სერვისულ ევროპულ ენას სტუდენტის არჩევით (ინგლისური, გერმანული ან რუსული);
- **150 ECTS კრედიტი** – ეთმობა სპეციალობის სავალდებულო საბაზისო სასწავლო დისციპლინებს, მათ შორის 10 კრედიტი - საბაკალავრო ნაშრომს, 10 კრედიტი – პროფესიულ (სასწავლო/საწარმოო) პრაქტიკას; პრაქტიკულ სპეციალობაში (იმიტირებული პროცესები) წარმართება სამი სილაბუსის საფუძველზე – იმიტირებული პროცესები საჯარო სამართალში; იმიტირებული პროცესები კერძო სამართალში, იმიტირებული პროცესები სისხლის სამართალში – სტუდენტის არჩევით;
- **60 ECTS კრედიტის** მოსაპოვებლად შემოთავაზებულია 5 მოდულად დაჯგუფებული **135 ECTS** კრედიტის მოცულობის სპეციალიზაციის არჩევითი სასწავლო დისციპლინები; სტუდენტი უფლებამოსილია მოახდინოს კონცენტრაცია შემდეგი მიმართულებებით: საჯარო (კონსტიტუციური და ადმინისტრაციული) სამართალი, კერძო სამართალი, სისხლის სამართალი, საერთაშორისო სამართალი ან/და განახორციელოს ინდივიდუალური პროფილის ფორმირება სხვადასხვა სპეციალიზაციის მოდულების ან/და სასწავლო დისციპლინების კომბინირებით (მაგალითად, კერძო სამართალი, ადმინისტრაციული სამართლის ელემენტებით და სხვ.); ასევე, გაიდრმოს ცოდნა სამართალმცოდნეობაში (სამართლის თეორიულ და მეთოდურ, ფილოსოფიურ, ისტორიულ ასპექტებში): სამართალმცოდნეობის (სამართლის თეორიის და მეთოდების, ფილოსოფიის, ისტორიის) სასწავლო მოდულის (20 კრედიტი) ფარგლებში შეთავაზებული 4 სასწავლო დისციპლინიდან, სტუდენტმა აუცილებლად უნდა აირჩიოს 10 ECTS კრედიტის მოცულობის სასწავლო დისციპლინა; საჯარო სამართლის სპეციალიზაციის სასწავლო მოდულით შეთავაზებულია – 40 კრედიტი; კერძო სამართლის სპეციალიზაციის სასწავლო მოდულით – 40 კრედიტი; სისხლის სამართლის სპეციალიზაციის სასწავლო მოდულით – 20 კრედიტი; საერთაშორისო სამართლის სპეციალიზაციის სასწავლო მოდულით – 15 კრედიტი.
- სტუდენტი უფლებამოსილია სპეციალიზაციის არჩევითი სასწავლო დისციპლინა **5 ECTS** კრედიტის მოცულობით შეცვალოს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტების მიერ რეალიზებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან მისთვის საინტერესო სასწავლო დისციპლინით (თავისუფალი კრედიტი); სამართლის ფაკულტეტის მიერ შემოთავაზებულ ამ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან მობილობის წესით

გადმოსულ სტუდენტს, შეიძლება უღიარდეს 5 ECTS კრედიტი, როგორც თავისუფალი კრედიტი, ისეთი სასწავლო დისციპლინაში, რომელიც არ ისწავლება ამ პროგრამით.

სტუდენტი ვალდებულია სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე შეასრულოს 240 კრედიტი.

16. სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

სამართლის საბაკალავრო პროგრამის რეალიზაციას უზრუნველყოფს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, საჭიროების შემთხვევაში აფორმებს ხელშეკრულებებს პრაქტიკოს სპეციალისტთა ან/და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა უმაღლეს დაწესებულებაში დასაქმებული პირების პროგრამის განხორციელებაში ჩასართავად მოწვევის თაობაზე; პროგრამის რეალიზაციისათვის გამოიყენება თქუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, თქუ ბიბლიოთეკა, კომპიუტერებით, პროექტორებითა და საპროექციო ეკრანებით, ასევე სხვა სასწავლო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, მათ შორის იმიტირებული პროცესებისათვის მოწყობილი აუდიტორია, საპროფეორო, სამართლის ფაკულტეტის იურიდიული კლინიკა, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საინფორმაციო საძიებო სისტემები; საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული): თანამედროვე სახელმძღვანელოებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით. ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო ფონდები, მონაცემთა ბაზები (OPEN BIBLIO), უზრუნველყოფილია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში წვდომა (EBSCOHost – <http://search.epnet.com> (ელექტრონული ჟურნალები და წიგნები). ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ლინკები, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბმულები: <http://fs.gallup.unm.edu>, <http://www.questia.com/library>, <http://www.gutenberg.org/catalog/>, <http://library.court.ge> (სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლინკი – <http://www.nplg.gov.ge/geo/dlibrary2>; სამართლის საბაკალავრო პროგრამის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტისა ან სამართლის ფაკულტეტის მიერ სხვა, მათ შორის სასწავლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე, შესაძლებელია ამ უკანასკნელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გამოყენებაც.

17. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული შემოსავლების, დამფუძნებელთა მიერ განხორციელებული ინვესტიციებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ნებადართული სხვა სახსრების გამოყენებით. პროგრამის სარეალიზაციოდ მოზიდული ზემოაღნიშნული ფინანსები გამოიყენება აკადემიური პერსონალის სახელფასო უზრუნველყოფის, სტუდენტთა წახალისებისა და მოტივაციის, საბიბლიოთეკო ფონდის განახლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად და სხვა სასწავლო-საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

18. პროგრამის ინტერნაციონალიზაცია

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, უნივერსიტეტი, სამართლის ფაკულტეტის შუამდგომლობის საფუძველზე უფლებამოსილია მოიწვიოს უცხო ქვეყნის ან/და უცხოენოვანი პერსონალი სამართლის საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო დისციპლინების უცხო ენაზე წაყვანის მიზნით; გარდა ამისა, სამართლის ფაკულტეტი სპეციალიზაციის არჩევითი დისციპლინების ფარგლებში

სტუდენტებს სთავაზობს სამართლის საბაკალავრო პროგრამის სპეციალიზაციის არჩევითი დისციპლინების ნაწილს, როგორც ქართულ (სწავლების ენა), ისე უცხო (ინგლისური ან გერმანული ან რუსული) ენაზე (მაგალითად, შედარებითი კერძო სამართალი, საერთაშორისო სისხლის სამართალი და სხვ.). საბაკალავრო პროგრამის რეალიზაციაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი სისტემატურად ღებულობს მონაწილეობას პროფესიულ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში, რაც ასევე აძლიერებს პროგრამის საერთაშორისო ასპექტს.

19. სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო გეგმა და სწავლის შედეგების რუკა - იხ. დანართი N1, N2, N3;

20. სამართლის საბაკალავრო პროგრამის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა - იხ. დანართი N4;

21. სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე (CV) და საკონტაქტო ინფორმაცია - იხ. დანართი N5;

22. სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო დისციპლინების სილაბუსები - იხ. დანართი N6 (67 სილაბუსი).